კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.georoad.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 19 ივლისი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

www.georoad.ge

<u>გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები</u>




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
40,00%
90,00%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
13,04%
24,33%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80,00%
18,25%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
51,85%
17,61%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
18,18%
14,00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
14,29%
32,75%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
60,00%
70,83%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
60,00%
67,67%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
57,14%
16,00%
0,00%
50,00%
100,00%

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება დეპარტამენტის თავმჯდომარის კომპეტენციის აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან დირექტორს. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

მამუკა ლეჟავა

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე

დაბადების თარიღი: 1965 წლის 2 მარტი
დაბადების ადგილი: ქ. თბილისი
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
უცხო ენები: რუსული, ინგლისური

განათლება

1983-1989 საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტი

1997-2001 ნ. ნიკოლაძის სახელობის მრავალპროფილიანი აკადემია, სამართალმცოდნეობის სპეციალობა

2. ვებ-გვერდზე არ მოიძიება დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეების არცერთი საკონტაქტო რეკვიზიტი: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

აგრეთვე არ მოიძიება დეპარტამენტის თავმჯდომარის ყველა მოადგილის (მოვალეობათა შემსრულებლის) კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა:



წუგზარ გასვიანი

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამეწტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

დაბადების თარიღი: 1966 წლის 20 ნოემბერს
დაბადების ადგილი: ქ. სოხუმი
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ორი შვილი
უცხო ენები: ინგლისური, რუსული, თურქული



გიორგი წერეთელი

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

დაბადების თარიღი: 1944 წლის 24 სექტემბერს
დაბადების ადგილი: ქ. თბილისი
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

განათლება

1958-1962 თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი;
1962-1968 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, საავტომობილო გზების სპეციალობა;

3. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, დეპარტამენტის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი. სასურველია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ოფიციალური დასახელება არსებობდეს ტექსტური სახით მთავარ გვერდზე ლოგოს გვერდით, ვინაიდან ლოგოზე მოყვანილი დასახელება რთულად გარჩევადია. აგრეთვე სასურველია ტექსტური ფორმით არსებობდეს ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს) დასახელებაც:



4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება დეპარტამენტის სტრუქტურის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული ერთეულის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები).

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საქმიანობის სფეროს და ამოცანების აღწერა, აგრეთვე არ მოიძიება დეპარტამენტის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი და მათი კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა.

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები და მათი კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა. აგრეთვე არ მოიძიება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

8. სასურველია, რომ განყოფილებაში „სტრუქტურა“ შესყიდვების სამმართველოს გადაერქვას სახელწოდება და დაერქვას სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო:



9. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული ინფორმაცია დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების შესახებ. კერძოდ არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების ჩამონათვალი და მათი კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა.

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითებით) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები.

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

10. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ ფონდს გააჩნია მოქმედი სათათბირო ორგანო - კოლეგია, შესაბამისად სასურველია ვებ-გვერდზე შესაქმნელ განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებაში მოიძიებოდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- დეპარტამენტის კოლეგიის ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;

- დეპარტამენტის კოლეგიის სტრუქტურა და შემადგენლობა;

- დეპარტამენტის კოლეგიის სხდომების ოქმები და აგრეთვე სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციული ხასიათის ცნობები.

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

11. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე არ მოიძიება მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები, კერძოდ: პროგრამებისა და ხელშეკრულებათა ბაზები. დეპარტამენტის მოქმედი დებულების თანახმად ნაპირდაცვის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია სანაპირო ზონაში ბუნებრივი კომპონენტების და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნა, შესაბამისად სასურველია აღნიშნული მონაცემთა ბაზა განთავსებულ იქნეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე.

12. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

➢ **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

13. არ მოიძიება დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ მნიშვნელოვანი სახის ცნობები. კერძოდ, თავმჯდომარისა და მის მოადგილეთა გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები; ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ და დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეთა ამა თუ იმ ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია.

14. ვებ-გვერდზე არ მოიძიება დეპარტამენტის მიერ მომზადებული პროგნოზები და იმ სახელმწიფო, მიზნობრივი და ა.შ. პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. აგრეთვე არ მოიძიება აღნიშნული პროგრამების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები,

15. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და ,,პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

16. აღსანიშნავია, რომ ვებ-გვერდზე არ მოიძიება 2009 და 2010 წლის წლიური ანგარიშები დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ:



ინფორმაცია
საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო
დაწესებულების-საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2008 წელს განეული მუშაობის შესახებ

,,საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 2007 წლის 28 დეკემბრის (#5659) საქართველოს კანონის" შესაბამისად 2008 წლისათვის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ასიგნებები განისაზღვრა 195076.8 ათასი ლარის ოდენობით, სადაც გზების მოვლა-შენახვის ხარჯები (მიმდინარე, პერიოდული შეკეთება, რეაბილიტაცია, მშენებლობა და შენახვა ზამთრის პერიოდში) განისაზღვრა 192025.0 ათასი ლარის ოდენობით. "საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" 2008 წლის 10 ოქტომბრის (#334) საქართველოს კანონის შესაბამისად 2008 წლისათვის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხარჯვითი ნაწილი განისაზღვრა 185576.8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო "საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" 2008 წლის 23 დეკემბრის (#834) საქართველოს კანონის შესაბამისად 2008 წლისათვის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხარჯვითი ნაწილი განისაზღვრა 186706.8 ათასი ლარის ოდენობით.

>>>

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

17. შეიძლება ითქვას რომ ვებ-გვერდზე არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა - მართალია არსებობს განყოფილება სათაურად ,,კანონმდებლობა", თუმცა მასში განთავსებულია მხოლოდ ოთხი სამართლებრივი აქტი, რომელიც მოცემულია ძველი მდგომარეობით. აუცილებელია მოიძიებოდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საქმიანობის სფეროსთან და საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და დეპარტამენტის თავმჯდომარის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები. არ მოიძიება საქართველოს კონსტიტუციაც. აგრეთვე სასურველია რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მოქმედი დებულება და შინაგანაწესი მოიძიებოდეს შესაბამის განცალკევებულ (ქვე)განყოფილებებში:

კანონმდებლობა

საქართველოს კანონი
საავტომობილო გზების შესახებ

კანონი საავტომობილო გზების შესახებ განსაზღვრავს საავტომობილო გზების სახეობებსა და სტატუსს.
ეს კანონი აწესებს საავტომობილო გზების მფლობელთა და მოსარგებლეთა, აგრეთვე საგზაო-საინჟინრო ნაგებობების მფლობელ ორგანიზაციათა გზებით სარგებლობისა და დაცვის წესებს, მოთხოვნებს საავტომობილო გზების მოწყობილობისადმი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ყველა მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე.

>>>

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო
საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:
1. დამტკიცდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანდართული დებულება (დანართი N1).
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. ტყეშელაშვილი

>>>

საქართველოს კანონი
საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.

>>>

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

18. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის

თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან. არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და დეპარტამენტში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმა.

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

20. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე დეპარტამენტსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

21. მართალია ვებ-გვერდზე არსებობს ქვე-განყოფილება „ვაკანსია“, თუმცა მასში განთავსებულია მხოლოდ ერთი განცხადება. აუცილებელია ამავე ქვე-განყოფილებაში მოცემული იყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (დეპარტამენტის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

22. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/დეპარტამენტის კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- განცალკევებით არ მოიძიება დეპარტამენტის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე).

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
55,56%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
52,94%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
40,00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
63,16%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
66,67%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33,33%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7

- ნავიგაცია

ვებ-გვერდზე განთავსებულია რესურსის რუკა, თუმცა ის უფუნქციოა:

კატეგორიების ჩამონათვალი არის ჩვეულებრივი ტექსტი, არც-ერთი არ არის გადასასვლელი ბმული. ვებ-გვერდის რუკას არა მხოლოდ კატეგორიების ჩვენების ფუნქცია, არამედ სასურველ კატეგორიაზე მარტივად გადასვლის ფუნქციაც უნდა ქონდეს;

ვებ-გვერდის მენიუ განთავსებულია არა სტანდარტულ ადგილზე რაც მნიშვნელოვნად ართულებს ნავიგაციას:

- **ძიება**

ძიების მოდულში არ არის ინტეგრირებული ქართული ფონტი:

მომხმარებელს უნდა შეეძლოს ძიების სისტემაში ფონტის შეცვლის გარეშე ქართული ფონტით ტექსტის აკრეფვა;

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

გარდა იმისა, რომ ვებ-გვერდზე ვიდეო მასალა არ არის flv ფორმატის, ვებ-გვერდს არ აქვს ფუნქცია, რომ მომხმარებელმა ვიდეო რგოლები ნახოს პირდაპირ ვებ-გვერდზე და არა მხოლოდ მათი გადმოწერის შემდგომ:



ყველა ვიდეო რგოლი უნდა იყოს FLV ფორმატის და ვებ-გვერდს უნდა ქონდეს საშუალება Flash Player-ის გამოყენებით, პირდაპირ საიტზევე ანახოს ვიდეო მასალა, გადმოწერის გარეშე;

ვებ-გვერდის ტექსტური ნაწილი სურათებისგან და სხვა ობიექტებსგან მინიმუმ 2 პიქსელით უნდა იყოს დაშორებული:



- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის Facebook-ის გვერდი არსებობს, თუმცა იგი რეალურად არ ფუნქციონირებს:



- **უსაფრთხოება**

https პროტოკოლის მხარდაჭერა ვებ-გვერდს აქვს, თუმცა მასზე არაფერია ატვირთული:

- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდის ტექსტური ნაწილი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს წარმოსახული სურათის მეშვეობით რადგან ასეთ შემთხვევაში საძიებო სისტემები ვერ აინდექსებენ რესურსის ტექსტურ ნაწილს:

საქართველოს საავტომობილო გზების ქსელი საფარის მიხედვით
01.01.2011 წლის მდგომარეობით

გზის დანიშნულება	საერთო სიგრძე	მოლიანად	მათ შორის		ღორღოვანი და ხრეშოვანი საფარი	ყამიროვა საფარი
			ცემენტობეტონი	ასფალტობეტონი		
	კმ	კმ	კმ	კმ	კმ	კმ
ერთაშორისო	1,495.0	1,467.0	56.0	1,411.0	28.0	
ადასახელმწიფოებრივი	5,446.0	3,477.0	80.0	3,397.0	1,802.0	167.0
ულ	6,941.0	4,944.0	136.0	4,808.0	1,830.0	167.0

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ზოგადად ვებ-გვერდი არც თუ ისე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მასში აღმოჩენილი ხარვეზები და გაუთვალისწინებელი სტანდარტები, ხაზს უსვამს ვებ-დიზაინერისა და ვებ-პროგრამისტის მიერ ვებ-გვერდისადმი არა პროფესიონალურ მიდგომას, ისევე როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტის ადმინისტრაციის ზერელე დამოიდებულებას საკუთარი ელექტრონული რესურსის განვითარებისადმი. რესურსის არასტანდარტული სტრუქტურა ართულებს ნავიგაციას, ვებ-გვერდი არ ფუნქციონირებს საქართველოს საჯარო დაწესებულებების დომენურ ზონაში - GOV, ასევე უნდა ითქვას, რომ ვებ -გვერდი არ არის ინტეგრირებული სოციალურ ქსელებთან. ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია ვებ-გვერდზე გასწორდეს არსებული ხარვეზები და რესუსრს დაემატოს თანამედროვე ფუნქციები.